

შპს ფუნდენტი ტექნიკის მაღაზიის წინააღმდეგ

შპს ფუნდენტი ახორციელებს სავაჭრო ობიექტების მომარაგებას. ის აფართოვებს ქსელს საქართველოში და გადაწყვიტა შეიძინოს ახალი სამაცივრე სისტემები ფილიალისთვის, რომელიც უკვე ფუნქციონირებს, მაგრამ საჭიროებს ახალი დანადგარებით აღჭურვას. აღნიშნული მიზნით ფუნდენტი მაღაზიასთან აფორმებს სამაცივრე ტექნიკის ნასყიდობის ხელშეკრულებას. ხელშეკრულება ითვალისწინებს მაცივრის ადგილზე მიტანის ვადის გადაცილების შემთხვევასი პირგასამტეხლოს თანხის 0,05%-ის სახით. გამყიდველმა ვალდებულების შესრულება დათქმულ დროს ვერ განახორციელა და 5 დღიანი ვადის გადაცილების შემდეგ ითხოვა დამატებითი 7 დღიანი ვადა მიწოდებისათვის. შპს ფუნდენტმა, იმის გამო, რომ გამოწერას დიდი დრო დასჭირდებოდა, და სხვა კონტრაქტის მოძებნის შემთხვევაშიც გაჭიანურდებოდა შესყიდვა, დანიშნა დამატებითი 7 დღიანი ვადა. გამყიდველმა განახორციელა მყიდველის იურიდიულ მისამართზე მიწოდების ვალდებულება. ფუნდენტმა კიდევ დაიქირავა სპეციალისტი სამაცივრე სისტემის დასამონტაჟებლად. დამონტაჟების მომენტში აღმოჩნდა, რომ მაცივარს ჰქონდა ქარხნული წუნი. მყიდველმა დაუყოვნებლივ მიმართა გამყიდველს და სთხოვა მაცივრის შეცვლა. ტექნიკის მაღაზია განმარტავს, რომ ვინაიდან ხელშეკრულების საგანი არის სპეციალიზებული მაცივარი, ის ხელმისაწვდომი არ არის და ხდება მისი გამოწერა. ამიტომაც მათ შეუძლიათ მხოლოდ ნაკლის გამოსწორება. მათ ითხოვეს დამატებითი 7 დღიანი ვადა ნაკლის გამოსასწორებლად. ზემოაღნიშნული მოტივით მყიდველმა დანიშნა დამატებითი ვადა. 7 დღიანი სამუშაო დღის გასვლის შემდეგ შპს ფუნდენტი დაინტერესდა ნაკლის გამოსწორების საკითხით და მას უპასუხეს, რომ მაცივარი არ ექვემდებარება სრულ აღდგენას. სარემონტო სამუშაოები ვერ უზრუნველყოფენ მდგომარეობის აღდგენას. შპს ფუნდენტი ითხოვს 1) სახელშეკრულებო თანხის გადახდას. 2) 5 დღიანი გადაცილებისათვის მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურებას. 3) 7 დღიანი ვადის გადაცილებისა და 7 დღიანი ნაკლის გამოსწორებისათვის მინიჭებული დამატებითი ვადის განმავლობაში მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურებას. 4) პირგასამტეხლო ყოველი გადაცილებული დღისათვის თანხის 0,05%. 5) შესაგებელი - შპს ფუნდენტს არანაირი ზიანი არ მისდგომია, შესაბამისად მაღაზია აპირებს დააბრუნოს მხოლოდ ის თანხა, რაც რჩება სარემონტო სამუშაოების და ტრანსპორტირების თანხების გამოკლებით.

არსი: ხელშეკრულების დარღვევა, ამის საფუძველზე ხელშეკრულებიდან გასვლა, მის ფარგლებში სახელშეკრულებო თანხის დაბრუნების, ზიანის ანაზღაურებისა და პირგასამტეხლოს მოთხოვნის უფლება.

წესი:

ანალიზი: შესაძლოა შპს ფუდნეტს ჰქონდეს ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება სსკ-ის 405-ე მუხლის 1-ლი ნაწილისა და სსკ-ის 491-ე მუხლის 1-ლი ნაწილის საფუძველზე, ხოლო სსკ-ის 352-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად სახელშეკრულებო თანხის უკან მოთხოვნის უფლება.

იმისათვის, რომ გავარკვიოთ, აქვს თუ არა რეალურად შპს ფუდნეტს ხელშეკრულებიდან გასვლის შესაძლებლობა უნდა შევამოწმოთ ხელშეკრულებიდან გასვლის წინაპირობები გვაქვს თუ არა სახეზე.

პირველ რიგში უნდა შემოწმდეს გვაქვს თუ არა ვალდებულება წარმოშობილი ნამდვილი ხელშეკრულების საფუძველზე. როგორც კაზუსიდან ირკვევა, მხარეებმა დადეს ნასყიდობის ხელშეკრულება სსკ-ის 477-ე მუხლის შესაბამისად, შეთანხმდნენ ხელშეკრულების ყველა არსებით პირობაზე სსკ-ის 327-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად და სსკ-ის 317-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად წარმოეშვათ მხარეებს უფლებები და მოვალეობები.

შემდეგ წინაპირობას წარმოადგენს ჯეროვანი შესრულების არარსებობა. სსკ-ის 361-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით ვალდებულება უნდა შესრულდეს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას. მოცემულ კაზუსში ვარკვევთ, რომ დათქმულ დროს ხელშეკრულების შესრულება არ მომხდარა. შესაბამისად გამოირიცხება ჯეროვანი შესრულება მოცემულ შემთხვევაში. რადგანაც ვახსენეთ, რომ ვალდებულება დათქმულ დროს არ შესრულებულა, შესაბამისად შეგვიძლია დარღვევის ტიპის იდენტიფიცირება. კონკრეტულად, სსკ-ის მე-400 მუხლის ა) პუნქტის მიხედვით, სახეზე გვაქვს მოვალის მიერ ვადის გადაცილება. ამავდროულად უნდა ვახსენოთ, რომ სსკ-ის 401-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევა, კერძოდ შესრულების შეუძლებლობა გარკვეული დაუძლეველი ფაქტორების გამო სახეზე არ გვაქვს. შესაბამისად, შეუსრულებლობა მოვალის ბრალით არის გამოწვეული. შუალედური დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ვალდებულება დაირღვა.

გადავიდეთ ხელშეკრულებიდან გასვლის შემდეგ წინაპირობებზე. ერთ-ერთ წინაპირობას წარმოადგენს დამატებითი ვადის განსაზღვრა სსკ-ის 405-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად. მოცემულ შემთხვევაში, შეგვიძლია ხაზი გავუსვათ ასევე მაღაზიის არაკეთილსინდისიერებას, რადგან მხოლოდ 5 დღის შემდეგ ატყობინებს კრედიტორს, რომ დამატებითი ვადა ესაჭიროვება, როდესაც სსკ-ის 318-ე მუხლის თანახმად ინფორმაციის გაცემის ვალდებულება ვადის გადაცილების მომენტიდანვე ეკისრებოდა. სსკ-ის 405-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, კრედიტორი არ არის ვალდებული დამატებითი ვადა განსაზღვროს, თუ რომელიმე გარემოება არის სახეზე. მოცემულ შემთხვევაში რადგანაც ვადა იყო განსაზღვრული შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ კრედიტორი უშუალოდ ვალდებულების დროულ შესრულებაზე იყო ორიენტირებული (სსკ-ის 405-ე მუხლის მე-2 ნაწილის ბ) პუნქტი) და დამატებითი ვადა შეიძლება მისთვის უკვე ვალდებულების შესასრულებლად გამოუსადეგარი იყოს. თუმცა, როგორც ჩვენი

კაზუსიდან ვარკვევთ, სხვადასხვა მიზეზების გამო, შპს ფუდნეტი დამატებით 5 დღიან ვადას უწყესებს მაღაზიას ვალდებულების შესასრულებლად.

შემდეგ შპს ფუდნეტი 5 დღიანი ვადის გასვლისას და მაცივრის დამონტაჟებისას იგებს, რომ პროდუქტები ნაკლის მქონეა. სსკ-ის 487-ე მუხლის მიხედვით კიდევ ვიცით, რომ მოვალემ ვალდებულების შესრულებისას კრედიტორს ნივთობრივად უნაკლო ნივთი უნდა გადასცეს. სსკ-ის 488-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად კიდევ ვარკვევთ თუ რა ითვება უნაკლო ნივთად. მოცემულ შემთხვევაში ჩვეულებრივი სარგებლობისთვის ნივთს ვერ ვიყენებთ, შესაბამისად მუხლის მიხედვით ნივთი ნაკლის მქონედ ჩაითვლება. შესაბამისად სახეზეა ნაკლიანი შესრულება. სსკ-ის 495-ე მუხლის მიხედვით აუცილებელია მყიდველმა ნივთი დაუყოვნებლივ შეამოწმოს და ასევე დაუყოვნებლივ აცნობოს გამყიდველს ნაკლის შესახებ. იქედან გამომდინარე, რომ ნივთის შემოწმება მხოლოდ დაყენების შედეგადაა შესაძლებელი და ეს მაღაზიაში ვერ მოხდებოდა უნდა ვთქვათ, რომ ამ მუხლის პირობები კრედიტორმა შეასრულა და დაუყოვნებლივ აცნობა მოვალეს ნაკლის თაობაზე. ამ კონკრეტულ შემთხვევაში სსკ-ის 405-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით კრედიტორი ვალდებულია დამატებითი ვადა განსაზღვროს. ხოლო სსკ-ის 405-ე მუხლის მეორე ნაწილი კიდევ განამტკიცებს იმ გარემოებებს, რომლებიც დამატებითი ვადის განსაზღვრას გამორიცხავენ. მოცემულ შემთხვევასი ფუდნეტს სსკ-ის 405-ე მუხლის მე-2 ნაწილის ბ) პუნქტის თანახმად შეეძლო უარი ეთქვა დამატებითი ვადის განსაზღვრაზე, რადგან დროულ შესრულებაზე იყო ორიენტირებული შპს ფუდნეტი და გასულიყო ხელშეკრულებიდან, თუმცა ის მაინც დათანხმდა დამატებითი ვადის დაწესებას, რადგან ხელშეკრულებიდან გასვლა ორივე მხარისათვის იქნებოდა საზიანო. თუ ნაკლი არ გამოსწორდებოდა ფუდნეტს სსკ-ის 491-ე მუხლის საფუძველზე შეეძლო გასვლა ხელშეკრულებიდან. თუმცა, ამ ვადის გასვლის შედეგაც გაირკვა, რომ თურმე პრობლემა ჯერ ვერ აღმოიფხვრა და კიდევ რამდენიმე დღე ვერ გამოსწორდებოდა. იმისთვის რომ გავარკვიოთ, აქვს თუ არა ფუდნეტს გასვლის უფლება ხელშეკრულებიდან უნდა დავეყრდნოთ ჯერ კიდევ ერთ წინაპირობას სსკ-ის 405-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, რომელიც ხელშეკრულებიდან გასვლის გამომრიცხავ გარემოებებს განამტკიცებს. მოცემულ შემთხვევაში სახეზეა სსკ-ის 405-ე მუხლის მე-3 ნაწილის დ) პუნქტი, კერძოდ, შესაგებელი უპირისპირდება მოთხოვნას. როგორც ირკვევა, თანახმაა სახელშეკრულებო თანხის დაბრუნებაზე მაღაზია, თუმცა მოითხოვს ნაკლის გამოსწორებისათვის გაწეული ხარჯების გამოქვითვას სახელშეკრულებო თანხიდან. სსკ-ის 490-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად გამყიდველს ეკისრება ნაკლის გამოსწორებისთვის აუცილებელი ხარჯების გაღება, მათ შორის ტრანსპორტის და გზის. ეს მუხლი გამორიცხავს შესაგებელს. შესაბამისად შპს ფუდნეტს აქვს სრული უფლებამოსილება ხელშეკრულებიდან გასვლისა და სახელშეკრულებო თანხის უკან გამოთხოვის.

დასკვნა: შპს ფუნდენტს აქვს სრული უფლება სსკ-ის 405-ე მუხლის 1-ლი ნაწილისა და სსკ-ის 491-ე მუხლის თანახმად გავიდეს ხელშეკრულებიდან, ხოლო სსკ-ის 352-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად უკან დაიბრუნოს სახელშეკრულებო თანხა სრულიად.

ანალიზი: შპს ფუნდენტს შესაძლებელია ჰქონდეს 5 დღიანი და 7 დღიანი ვადის გადაცილებით და 7 დღიანი ნაკლის გამოსასწორებელი სამუშაოების შედეგად მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება სსკ-ის 404-ე მუხლის, სსკ-ის 494-ე მუხლის, სსკ-ის 411-ე მუხლისა და სსკ-ის 394-ე მუხლის მიხედვით. ასევე, პირგასამტეხლოს მოთხოვნის უფლება შესაძლებელია ჰქონდეს ფუნდენტს სსკ-ის 417-ე მუხლის მიხედვით.

იმისათვის რომ გავარკვიოთ, აქვს თუ არა შპს ფუნდენტს მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება საჭიროა შევამოწმოთ შესაბამისი ზიანის ანაზღაურების წინაპირობები გვაქვს თუ არა სახეზე.

პირველ რიგში უნდა შემოწმდეს გვაქვს თუ არა ვალდებულება წარმოშობილი ნამდვილი ხელშეკრულების საფუძველზე. როგორც კაზუსიდან ირკვევა, მხარეებმა დადეს ნასყიდობის ხელშეკრულება სსკ-ის 477-ე მუხლის შესაბამისად, შეთანხმდნენ ხელშეკრულების ყველა არსებით პირობაზე სსკ-ის 327-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად და სსკ-ის 317-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად წარმოეშვათ მხარეებს უფლებები და მოვალეობები.

შემდეგ წინაპირობას წარმოადგენს ჯეროვანი შესრულების არარსებობა. სსკ-ის 361-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით ვალდებულება უნდა შესრულდეს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას. მოცემულ კაზუსში ვარკვევთ, რომ დათქმულ დროს ხელშეკრულების შესრულება არ მომხდარა. შესაბამისად გამოირიცხება ჯეროვანი შესრულება მოცემულ შემთხვევაში. რადგანაც ვახსენეთ, რომ ვალდებულება დათქმულ დროს არ შესრულებულა, შესაბამისად შეგვიძლია დარღვევის ტიპის იდენტიფიცირებაც. კონკრეტულად, სსკ-ის მე-400 მუხლის ა) პუნქტის მიხედვით, სახეზე გვაქვს მოვალის მიერ ვადის გადაცილება. ამავდროულად უნდა ვახსენოთ, რომ სსკ-ის 401-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევა, კერძოდ შესრულების შეუძლებლობა გარკვეული დაუძლეველი ფაქტორების გამო სახეზე არ გვაქვს. შესაბამისად, შეუსრულებლობა მოვალის ბრალით არის გამოწვეული. შუალედური დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ვალდებულება დაირღვა.

მოვალის მიერ ჯერ 5 დღიანი ვადის გადაცილების შედეგად სახეზეა მოვალის არაკეთილსინდისიერება პირველ რიგში, რადგან მას სსკ-ის 318-ე მუხლით ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება გააჩნდა და 5 დღე რომ არ გაუფრთხილებია კრედიტორი ვალდებულების დარღვევის თაობაზე, სავარაუდო იყო მოვალის მიერაც რომ ზიანი მიაღებოდა ვადის გადაცილებით კრედიტორს. შემდეგ კრედიტორმა 7 დღიანი დამატებითი ვადა განუწესა მოვალეს, რადგან ხელშეკრულებიდან გასვლა

იქნებოდა მისთვის უშედეგო, 7 დღის შუალედში ახალი პარტნიორის მონახვას და მითუმეტეს ვალდებულების მისგან შესრულებას ნამდვილად ვერ მოახერხებდა. 7 დღიანი დამატებითი ვადის განმავლობაში რასაკვირველია დამატებითი დრო იხარჯებოდა, რაც შეეძლო კრედიტორს მაცივრების რეალიზაციის შემთხვევაში თავის სასარგებლოდ გამოეყენებინა. საბოლოოდ, აღმოჩნდა, რომ მაცივრები ნაკლის მქონე იყო. შეეძლო ამ შემთხვევაშიც კრედიტორს ხელშეკრულებიდან გასვლა, თუმცა ეს ქმედება ორივე მხარისთვის საზიანო იქნებოდა. კრედიტორი ვერ მოახერხებდა მოკლე ვადაში მაცივრების შეძენას, ხოლო მოვალე ახალი პარტნიორის მონახვას. შესაბამისად ზიანის გამოსწორებისათვის მას 7 დღიანი დამატებითი ვადა დაუდგინდა. ჯამში მივიღეთ მიუღებელი შემოსავალი ჯამში (19), რომელიც გამომდინარეობს სსკ-ის 411-ე მუხლიდან. ამ დროის განმავლობაში, რომელმაც ჯამში შეადგინა 19 დღეს, შპს ფუნდენტს შეეძლო ვალდებულების ჯეროვანი შესრულების შემთხვევაში გარკვეული თანხის მიღება, რასაც 411-ე მუხლიც განამტკიცებს. მიზეზობრივი კავშირი მოქმედებასა და მიღებულ შედეგს (ზიანს) შორის სსკ-ის 412-ე მუხლიდან გამომდინარეობს. მიყენებული ზიანი მოვალისთვის წინასწარ სავარაუდო იყო, გარდა ამისა სსკ-ის 401-ე მუხლის გარემოებებიც სახეზე არ იყო, შესაბამისად ზიანი მიადგა ფუნდენტს მოვალის დაუდევრობის გამო, შესაბამისად ზიანი ექვემდებარება ანაზღაურებას. მოვალეს რომ ვალდებულება შეესრულებინა ჯეროვნად, ზიანი სახეზე არ გვექნებოდა. ასევე აუცილებელია რომ შევამოწმოთ ბრალეულობის ხარისხი მოვალის მხრიდან ზიანის შემთხვევაში. სსკ-ის 395-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, მოვალეს ვალდებულება ეკისრება ზიანის ანაზღაურებაზე, როდესაც ზიანი მისი გაუფრთხილებელი ან განზრახი მოქმედებით იქნა მიყენებული. მოცემულ შემთხვევაში სწორედ მოვალის დაუდევარი მოქმედება გვქონდა სახეზე, შესაბამისად, მაღაზიას ზიანის ანაზღაურების სრული ვალდებულება ეკისრება სსკ-ის 394-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად.

ხოლო რაც შეეხება პირგასამტეხლოს, პირგასამტეხლოს მოთხოვნისათვის აუცილებელია მხარეთა შორის შეთანხმება გვქონდეს სახეზე ამ საკითხთან დაკავშირებით, და ასევე სახეზე არ იყოს ვალდებულების ჯეროვანი შესრულება. ეს ყველაფერი მოცემულ შემთხვევაში სახეზე გვაქვს, და სსკ-ის 417-ე მუხლის თანახმად შპს ფუნდენტს აქვს სრული უფლებამოსილება პირგასამტეხლოს მოთხოვნისა. თუმცა მიუხედავად იმისა, რომ კუმულაციურად შეუძლია მოვალეს როგორც პირგასამტეხლოს, ასევე ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა. ორივე მათგანი ცალ-ცალკე გადახდე მოვალის მხრიდან არ ხდება. დგინდება მაქსიმალური ზიანის ოდენობა, და თუ ის პირგასამტეხლოს რაოდენობას აღემატება, ეს ზიანის თანხა მოიცავს პირგასამტეხლოსაც. მოცემულ კაზუსშიც ურთიერთობა სწორედ ამ პრინციპით გადაწყდება.

დასკვნა: შპს ფუნდენტს აქვს სრული უფლებამოსილება მოითხოვოს პირგასამტეხლოს გადახდა სსკ-ის 417-ე მუხლის მიხედვით და ასევე აქვს ზიანის ანაზღაურების

მოთხოვნის უფლება, კერძოდ მიუღებელი შემოსავლისა, სსკ-ის 411-ე მუხლის, სსკ-ის 404-ე მუხლის, სსკ-ის 494-ე მუხლისა და სსკ-ის 394-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად.

By Achi Javakhishvili

Good luck!